საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ეროვნული პროფესიული საბჭოს

სხდომის ოქმი

8 ივნისი, 2012

სხდომის დღის წესრიგი:

1. **სხდომის გახსნა -** ლალი ებანოიძე - პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2. **სსიპ პროფესიულ კოლეჯებში მსურველთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვების შედეგები -** დიმა მოლაშვილი - პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
3. **სსიპ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერების ტრენინგის შედეგები -** ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
4. **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელტა ტრენინგის შედეგები - -** ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
5. **სსიპ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების ტრენინგების შედეგები** - ნათია ჭითავა - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
6. **დისკუსია;**
7. **სხდომის შეჯამება და დახურვა**

   სხდომა გახსნა ლალი ებანოიძემ და მადლობა გადაუხადა ევროკომისიის პროექტის ექსპერტს, ქ-ნ ედუარდა კასტელ ბრანკოს სხდომის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის. ლალი ებანოიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ედუარდა კასტელ ბრანკოს საქართველოში ყოფნის მიზეზი - პროფესიული განათლებისა და მომზადების შუალედური სტრატეგიის განხორციელების პროგრესის შეფასება.

საბჭოს წევრებმა დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

დიმიტრი მოლაშვილმა წარმოადგინა პროფესიულ კოლეჯებში მსურველთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის შედეგები. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია ბაზრის კვლევებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხებზე. პროფესიული კავშირების წარმომადგენლის აზრით შრომის ბაზის კვლევა უმნიშვნელოვანესი თემაა და ხელისუფლებამ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ამ ტიპის კვლევების წარმოებას. ქ-ნმა ნათია კვიციანმა ისაუბრა IOM-ის მიერ განხორციელებულ ბაზრის კვლევებზე, რომლის შედეგებიც სისტემატიურად მიეწოდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ქ-ნმა ნათია კვიციანმა ისაუბრა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის თემატური ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე - განისაზღვრა სამუშაო აღწერილობა და მომზადდა რეკომენდაციები კომპეტენციებთან დაკავშირებით, რომელზე დაყრდნობითაც ჩატარდა ტრენინგები პროფორიენტაციის მენეჯერებისათვის. ტრენინგები ჩატარდა ასევე საინფორმაციო ცენტრების თანამშრომელთათვის კონსულტირებისა და პროფორიენტაციის თემატიკაზე.

ქ-ნმა ედუარდა კასტელ ბრანკომ აღნიშნა, რომ იმყოფებოდა თბილისის საინფორმაციო ცენტრში და მიიღო დადებითი შთაბეჭდილებები, მოიხიბლა იმ გარემოთი რომელიც ადგილზე დახვდა, შექმნილია ადეკვატური გარემო, მუშაობენ მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, რომლებიც ფლობენ ყველა საკვანძო საკითხს. ამავე დროს კარგი იქნებოდა, რომ საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებს მეტი ინოფორმაცია ჰქონდეთ თითოეული პროგრამის შინაარსობრივ ნაწილზე, შეძლონ საუბარი ამა თუ იმ პროფესიის შესახებ უფრო სიღრმისეულად. ქ-ნმა ლალი ებანოიძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია.

ნათია ჭითავამ ისაუბრა მასწავლებელთა პროფესიულ და საგნობრივ ტრენინგებზე. ბ-ნი ოლივერ რეისნერი დაინტერესდა საგნობრივი ტრენინგებით და აღნიშნა რომ ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლები გადამზადდნენ უშუალოდ იმ პროფესიაში რასაც ასწავლიან. ლალი ებანოიძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა სრული ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებლის არსებულ და სამომავლო სქემაზე.